



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და  
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური  
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №27  
დეკემბერი, 2021

თბილისი, 2022

**ხელმძღვანელი:**

ვახუშტი მენაბდე

**ავტორი:**

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №27 ბიულეტენს, სადაც აღწერილია დეკემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

## I. პოლიტიკური პარტიების ბოიკოტი საკრებულოებში

3 დეკემბერს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოები უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ.<sup>1</sup> თუმცა, პირველი სხდომები არ გამართულა ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხორონწყუსა და სენაკში.<sup>2</sup> ვინაიდან აქ ვერცერთმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა, საკრებულოების თავმჯდომარეების არჩევა და, ზოგ შემთხვევაში, წევრების უფლებამოსილების ცნობა ვერ ხერხდებოდა.<sup>3</sup> მსგავსი ჩიხური მდგომარეობა რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საფრთხეს ქმნიდა.<sup>4</sup>

ბათუმში ოპოზიციის ინიციატივით თავმჯდომარის არჩევის მიზნით ჩატარებულ სხდომებზე არ გამოცხადდნენ „ქართული ოცნების“ წევრები, რის გამოც კვორუმი არ შედგა.<sup>5</sup> თავის მხრივ, ოპოზიციის წევრები ზოგ მუნიციპალიტეტში საკრებულოს სხდომებს პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდნენ.<sup>6</sup> ეს კვლავ იწვევდა კვორუმის არარსებობას, რაც თავმჯდომარის არჩევას შეუძლებელს ხდიდა.<sup>7</sup> კერძოდ, ზუგდიდის საკრებულოში თავმჯდომარე ოთხი სხდომის შემდეგაც ვერ აირჩიეს.<sup>8</sup> ამის მიზეზი ოპოზიციის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ წევრების გამოუცხადებლობა ან მათ მიერ სხდომების დატოვება გახდა.<sup>9</sup> საკრებულოს სხდომებს

<sup>1</sup> „ექვსი მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავმჯდომარეები ვერ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 5 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/460040>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „საკრებულოები თავმჯდომარეების გარეშე - რა არის ოპოზიციის ბოიკოტის მიზანი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31603728.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>5</sup> „ბათუმის საკრებულო ისევ კვორუმის პრობლემის წინაშე დადგა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31632893.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>6</sup> „საკრებულოები თავმჯდომარეების გარეშე - რა არის ოპოზიციის ბოიკოტის მიზანი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31603728.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> „ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე მეოთხე სხდომაზეც ვერ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 24 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31624285.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>9</sup> „ზუგდიდის საკრებულოს რიგით მეორე სხდომაც გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31602990.html>, განახლებულია: 07.02.2022; „ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე მეოთხე სხდომაზეც ვერ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 24 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31624285.html>, განახლებულია: 07.02.2022.

არ ესწრებოდნენ როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციური პარტიების წევრები სენაკსა<sup>10</sup> და წალენჯიხაში.<sup>11</sup> საკრებულოს თავმჯდომარე ვერც რუსთავში აირჩიეს.<sup>12</sup>

კრიზისი გადალახა ჩხორონყუს საკრებულომ, სადაც თავმჯდომარე გახდა ოპოზიციური პარტია „საქართველოსთვის“ წევრი.<sup>13</sup> თუმცა, ეს უკანასკნელი მმართველი პარტიის დეპუტატების მონაწილეობის გარეშე აირჩიეს, ვინაიდან მათ ბოიკოტი გამოაცხადეს.<sup>14</sup>

## II. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიშები

14 დეკემბერს აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.<sup>15</sup> დოკუმენტი 1-ლი სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე განვითარებულ მოვლენებს ეხება.<sup>16</sup> დასკვნის თანახმად, არჩევნები ხანგრძლივი პოლიტიკური ჩიხის პროცესში გაიმართა.<sup>17</sup> გამოვლინდა რიგი დარღვევები, რაც გამოიხატა ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენებაში, ხმების მოსყიდვაში, აგრეთვე, ამომრჩევლებზე, კანდიდატებსა და ჟურნალისტებზე ზეწოლაში.<sup>18</sup> დოკუმენტში ასევე აღინიშნა, რომ საარჩევნო პერიოდი ხასიათდებოდა ნეგატიური რიტორიკით, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას დრო არ ეთმობოდა.<sup>19</sup> მედია პლურალიზმითა და მოსაზრებების მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, თუმცა ირეკლავდა პოლიტიკურ პარტიებს შორის ღრმა პოლარიზაციას.<sup>20</sup>

30 დეკემბერს 2021 წლის ოქტომბრის არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მრავალეროვანი საქართველო“.<sup>21</sup> ანგარიშის მიხედვით, მმართველი პარტია ადმინისტრაციული და სხვა სახის რესურსების გამოყენების მხრივ, სხვა პარტიებთან შედარებით, არაპროპორციულად უპირატეს მდგომარეობაში იყო.<sup>22</sup> გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ მიერ ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების ინიცირებამ, რომელთა განხორციელებაც წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, ნაშალა ზღვარი მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას შორის.<sup>23</sup> საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პოლიტიკური ნიშნით დევნისა და ზეწოლის ფაქტებიც.<sup>24</sup> ამასთანავე, წინასაარჩევნო კამპანია პარტიებს შორის დაპირისპირებისა და ურთი-

<sup>10</sup> „სენაკის საკრებულოს ენმ-ის დეპუტატი „ქართულ ოცნებას“ მოსყიდვაში ადანაშაულებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/464821>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>11</sup> „წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე ისევ ვერ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/583803/>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>12</sup> „რუსთავის საკრებულო თავმჯდომარის გარეშე“, საინფორმაციო პორტალი „ინფო რუსთავი“, 2021 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://infostavi.ge/?m=31&news>, განახლებულია: 07.02.2022; „რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი განცხადებას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/690760>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>13</sup> „ჩხორონყუს საკრებულოს თავმჯდომარე გახარია პარტიიდან აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31622677.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> „არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისია: საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, არჩევნების შეფასების ანგარიში - 1-ლი სექტემბერი - 5 ნოემბერი“, NDI Georgia, 2021, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/wp-content/uploads/2021/>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>21</sup> „მუნიციპალიტეტის ორგანოების 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების სამონიტორინგო მისიის საბოლოო ანგარიში - შეჯამება და რეკომენდაციები“, „მრავალეროვანი საქართველო“ ვებგვერდი, 2021, ხელმისაწვდომია: <http://www.pmmg.org.ge/home/article/225>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე.

ერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობდა, ნაკლებად ეთმობოდა დრო ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიას.<sup>25</sup> ანგარიშის მიხედვით, კენჭისყრის პროცესი უმეტესად მშვიდ გარემოში წარიმართა, თუმცა დაფიქსირდა ძალადობრივი ინციდენტებიც.<sup>26</sup> დარღვევებზე საარჩევნო კომისიების რეაგირება არ შეესაბამებოდა დაწესებულ სტანდარტებს, ვინაიდან ისინი არ ცდილობდნენ გარემოების სრულფასოვნად გამოკვლევას.<sup>27</sup> შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიები ვერ იღებდნენ ობიექტურ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.<sup>28</sup> დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დასაბუთების სტანდარტი, საარჩევნო კომისიების მსგავსად, დაბალი იყო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებშიც.<sup>29</sup>

**21** დეკემბერს 2021 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში წარადგინა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED).<sup>30</sup> ორგანიზაციის შეფასებით, კენჭისყრის დღე იყო მეტწილად კონკურენტული და ტექნიკურად, ძირითადად, კარგად ადმინისტრირებული.<sup>31</sup> თუმცა, „ქართული ოცნების“ მიერ ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსის კონცენტრირებამ ხელი შეუშალა პარტიებს შორის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას.<sup>32</sup> აგრეთვე, დაფიქსირდა პოლიტიკური ნიშნით ზენოლის, მუქარის, სამსახურიდან გათავისუფლების ან წასვლის იძულების ფაქტები, რომლებზეც სახელმწიფოს სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.<sup>33</sup> საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობაზე ნეგატიური გავლენა იქონია კენჭისყრის დღეს უბნებთან საექვო პირთა ყოფნამ, ამომრჩეველთა აღრიცხვისა და ორგანიზებულად მიყვანის, ასევე, სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევებმაც.<sup>34</sup> ორგანიზაციის აზრით, მეორე ტურში გამოვლენილი დარღვევების ერთობლიობას ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, შესაძლოა, შედეგებზეც მოეხდინა გავლენა.<sup>35</sup> დასკვნაში აღნიშნულია, რომ მედიაგარემო საარჩევნო პერიოდში მკვეთრად პოლარიზებული იყო.<sup>36</sup> შედეგად, ამომრჩეველი ვერ იღებდა ობიექტურ ინფორმაციას.<sup>37</sup> შეინიშნებოდა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლაც. მათ შორის, ხშირი იყო ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებიც.<sup>38</sup> ანგარიშის მიხედვით, „საგანგაშო და მასშტაბური“ სახე ჰქონდა არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციის ეგიდით პარტიულ საქმიანობას.<sup>39</sup> რაც შეეხება საარჩევნო დავებს, დასკვნის თანახმად, სასამართლოების გადაწყვეტილებები მახლონური იყო და დასაბუთებულობის მინიმალურ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა.<sup>40</sup>

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> „სამართლიანმა არჩევნებმა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში წარადგინა“, „სამართლიანი არჩევნების“ ვებგვერდი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://isfed.ge/geo/presrelizebi/samartlianma->, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> „სამართლიანმა არჩევნებმა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში წარადგინა“, „სამართლიანი არჩევნების“ ვებგვერდი.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იქვე.



### III. სააკაშვილის საქმე

2 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საბიუჯეტო გაფლანგვის საქმეზე სხდომა გაიმართა, რომელსაც ბრალდებულიც ესწრებოდა.<sup>41</sup> პროკურატურა მას 9 მილიონამდე საბიუჯეტო თანხის გაფლანგვას ედავება.<sup>42</sup> ეს ბრალდება სააკაშვილის ადვოკატებმა უარყვეს და სისხლისსამართლებრივ დევნას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდეს.<sup>43</sup> პროცესის ფარგლებში ექსპრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა და სადავო საკითხებზე, ასევე მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალზე ისაუბრა.<sup>44</sup> ამავე საქმეზე მომდევნო სხდომა 27 დეკემბერს გაიმართა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი არ ესწრებოდა.<sup>45</sup> ის არ მონაწილეობდა არც 22 დეკემბერს საზღვრის უკანონო კვეთის შესახებ გამართულ სხდომაში<sup>46</sup> და არც მომდევნო დღეს „7 ნოემბრის საქმეზე“ გამართულ სასამართლო პროცესში.<sup>47</sup> ამის მიზეზად მისმა ადვოკატებმა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელეს.<sup>48</sup>

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 7 დეკემბერს გავრცელებული განცხადების მიხედვით, იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილის ვიდეოკადრების გავრცელებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი დაარღვიეს.<sup>49</sup> ინსპექტორის სამსახურმა ორივე უწყებას, საერთო ჯამში, 2500 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.<sup>50</sup> ეს გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაასაჩივრეს. მისი განხილვა სასამართლომ 28 დეკემბერს დაიწყო.<sup>51</sup>

27 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილმა გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან რუსთავის ციხეში იძულებით გადაყვანაზე უარი განაცხადა.<sup>52</sup> თუმცა, მისი თქმით, მომდევნო დღეს „შავ ფორმაში“ ჩაცმულმა პირებმა სცადეს ჰოსპიტალში მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანა, რა დროსაც, მათთან შეწინააღმდეგების შედეგად, გონება დაკარგა.<sup>53</sup> 28 დეკემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნა, რომ გორის ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალმა, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სამკურნალო დაწესებულებიდან მისი განერის გადაწყვეტილება მიიღო.<sup>54</sup> ამის მიუხედავად, პაციენტი არ დაემორჩილა პე-

<sup>41</sup> „მიხეილ სააკაშვილი მის წინააღმდეგ კიდევ ერთ სასამართლო პროცესს ესწრება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 2 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/459263>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> „სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის საქმეზე პროცესი მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69001>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> „საკაშვილი: „7 ნოემბრის საქმეზე“ მასამართლებენ და ბრალდება ეფუძნება მხოლოდ ორ ჩვენებას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31623219.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> „სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერების შესახებ“, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდი, 2021 წლის 7 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/ka/press/post/7757?>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>50</sup> „საქალაქო სასამართლო იუსტიციის სამინისტროს სარჩელს განიხილავს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის კადრების გასაჯაროების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებას ეხება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69019>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> „საავადმყოფოში მყოფი მიხეილ სააკაშვილი ციხეში დაბრუნებაზე უარს ამბობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/464670>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>53</sup> მიხეილ სააკაშვილის Facebook-გვერდი, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/SaakashviliM>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>54</sup> საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის Facebook-გვერდი, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/381617901>, განახლებულია: 07.02.2022.

ნიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა კანონიერ მოთხოვნას რუსთავის №12 დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.<sup>55</sup> მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა იუსტიციის მინისტრმა.<sup>56</sup> მისი თქმით, მკურნალობის დასრულების შემდეგ პატიმარი ვერ დარჩებოდა სამკურნალო დაწესებულებაში.<sup>57</sup> მან ასევე აღნიშნა, რომ, თუ სააკაშვილი კვლავ დაინყებდა შიმშილობას და საფრთხე შეექმნებოდა მის ჯანმრთელობას, გლდანის №18 ციხეში მდებარე საავადმყოფოში მოათავსებდნენ.<sup>58</sup> „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ხატია დეკანოიძის აზრით, აუცილებელი იყო სააკაშვილის გადაყვანა საზღვარგარეთ კლინიკაში, რათა ის არ გამხდარიყო „ბიძინა ივანიშვილის მხრიდან პერსონალური შურისძიების მსხვერპლი“.<sup>59</sup>

სახალხო დამცველის თქმით, 27 დეკემბერს გორის სამხედრო ჰოსპიტალში შესვლის უფლება არ მიეცათ სახალხო დამცველის რწმუნებულს და ექსპერტთა ჯგუფის წევრს, რათა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეეფასებინათ.<sup>60</sup>

29 დეკემბერს უკრაინის საგარეო უწყებამ საქართველოს მთავრობას მოუწოდა, დაეცვა უკრაინის მოქალაქის უფლებები და არ შეექმნა საფრთხე მისი სიცოცხლისთვის.<sup>61</sup>

30 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან რუსთავის ციხეში გადაიყვანეს.<sup>62</sup> ამავე დღეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ორჯერ სცადეს პატიმართან გასაუბრება,<sup>63</sup> თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეს ვერ მოხერხდა.<sup>64</sup> ვიზიტისას რწმუნებულებმა მოიპოვეს საჭირო სამედიცინო დოკუმენტაცია, ასევე, ესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციასა და ექიმს, რომელთა თქმით, გადმოყვანისას პატიმრის წინააღმდეგ ძალა არ გამოუყენებიათ.<sup>65</sup> მსგავსი კომენტარი გააკეთეს სააკაშვილის ადვოკატებმაც.<sup>66</sup>

მომხდართან დაკავშირებით უკრაინის სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ სააკაშვილი იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში და მისი გადაყვანა არღვევდა საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>67</sup>

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> „იუსტიციის მინისტრი სააკაშვილზე - ბუნებრივია, პატიმარი ვერ იქნება სამკურნალო დაწესებულებაში, როცა მკურნალობა დასრულებულია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/6902>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> „რავი ბრეგადის განცხადებით, თუ მიხეილ სააკაშვილი შიმშილობას კვლავ დაინყებს და მის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება, ის გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში გადავა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69027>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>59</sup> „ხატია დეკანოიძე - საქართველოში მიხეილ სააკაშვილი გახდება ბიძინა ივანიშვილის მსხვერპლი, ამიტომ მისი გადაყვანა აუცილებელია საზღვარგარეთის რომელიმე კლინიკაში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/6902>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>60</sup> „სახალხო დამცველი მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტლიდან რუსთავის ციხეში გადაყვანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/6906>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>61</sup> „უკრაინის საგარეო უწყება თბილისს მოუწოდებს, სააკაშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ შეუქმნას“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 29 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/464998>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>62</sup> „პენიტენციური სამსახური - მიხეილ სააკაშვილი გადაყვანილია რუსთავის მე-12 დაწესებულებაში, რაც კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69060>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>63</sup> „სახალხო დამცველი მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტლიდან რუსთავის ციხეში გადაყვანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/6906>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> „ნიკა გვარამია - სააკაშვილზე ფიზიკური ძალადობა არ ყოფილა, ის იყო დაუძღვრებული, საძილე საშუალებებით გაბრუნებული - მიაკითხეს ეტლით და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ ჰქონდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69062>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>67</sup> „უკრაინის ომბუდსმენი - საქართველოს ხელისუფლების მსგავსი ქმედებები შეფასებულია, როგორც წამება და უკრაინის მოქალაქის მიხეილ სააკაშვილისთვის სიცოცხლის უფლების შელახვა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/690637>, განახლებულია: 07.02.2022.

პარლამენტის ოპოზიციონერმა წევრმა სალომე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების ქმედება პატიმრის წინააღმდეგ ძალადობა იყო და მის უფლებებს უხეშად არღვევდა.<sup>68</sup> მან ასევე მიმართა მმართველ პარტიას, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოუკიდებელ ექსპერტს შეეფასებინა.<sup>69</sup> პარტია „ლელოს“ დეპუტატის, ანა ნაცვლიშვილის აზრით, ხელისუფლებამ სააკაშვილის რუსთავის ციხეში გადაყვანით „კრიზისისა და დაძაბულობის კერა განაახლა“.<sup>70</sup> „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ მიუთითა, რომ „ქართული ოცნება“ მსგავსი ქმედებებით მესამე პრეზიდენტის მიმართ არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ მენტალურ ანგარიშსწორებას ცდილობდა.<sup>71</sup>

სახალხო დამცველის თქმით, მესამე პრეზიდენტის რუსთავის ციხეში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების პროცესში ჩართული არ იყო სახელმწიფო კონსილიუმი და მონიტორინგის შესაძლებლობა არც სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფს მიეცა.<sup>72</sup>

## IV. „ეროვნული თანხმობის“ პროცესი

16 დეკემბერს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის დასრულების მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მზად იყო „ეროვნული თანხმობის“ პროცესის დაწყების ხელშეწყობისთვის.<sup>73</sup> ამ ინიციატივის ფარგლებში პრეზიდენტმა შეხვედრები გამართა პოლიტიკურ პარტიებთან,<sup>74</sup> უპარტიო პოლიტიკოსებთან, სახალხო დამცველთან, სახელმწიფო ინსპექტორთან.<sup>75</sup> 21 დეკემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ თბილისში მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერ აქციაზე, მისი გათავისუფლების მოთხოვნის მიზნით, „მასობრივი საპროტესტო შიმშილობის აქციის“ დაწყება დააანონსა.<sup>76</sup> მან აღნიშნა, რომ შიმშილობა პროტესტის არაძალადობრივი მეთოდი იყო.<sup>77</sup> მელია მიესალმა პრეზიდენტის 16 დეკემბრის განცხადებას და მიუთითა, რომ შიმშილობა „ეროვნული შეთანხმების“ დაწყებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ინიციატივას ხელს არ შეუშლიდა.<sup>78</sup> აშშ-ის ელჩმა საქართველოში, კელი დეგანამა

<sup>68</sup> „სალომე სამადაშვილი - მივმართავ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიეცეს დამოუკიდებელ სამედიცინო ექსპერტს შესაძლებლობა, შეხვედეს მიხეილ სააკაშვილს და შეფასდეს მისი მდგომარეობა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> „ანა ნაცვლიშვილი სააკაშვილის რუსთავის ციხეში გადაყვანაზე - ვწუხვარ, რომ წინასახალწლო დღეებში მმართველმა პარტიამ ამ ფორმით კრიზისისა და დაძაბულობის კერა განაახლა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/69065>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>71</sup> „ნინო ბურჯანაძე - არა მარტო ფიზიკურად უნდათ სააკაშვილის განადგურება, არამედ ეს არის მენტალური მკვლევლობის მცდელობა - ასეთი მეთოდებით ფაშისტები მოქმედებენ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/690>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>72</sup> „სახალხო დამცველი მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტლიდან რუსთავის ციხეში გადაყვანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/6906>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>73</sup> „სახალწლო მიღებაზე პრეზიდენტმა დეპოლარიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/462606>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>74</sup> იგი შეხვდა „ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „ლელოს“, „გირჩის“, „გირჩი - მეტი თავისუფლების“, „მოქალაქეების“, „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“, „ხალხისთვის“ წარმომადგენლებს. იხ. „დეგანანი ეროვნული თანხმობის“ პროცესზე: მისასალმებელია პრეზიდენტის ინიციატივა და მხარს ვუჭერთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31622919.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> „საკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ენა „მასობრივი შიმშილობის აქციას“ იწყებს, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 21 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/463467>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> იქვე.



მოინონა პრეზიდენტის შემოთავაზება და განაცხადა, რომ მას შტატები მხარს უჭერდა.<sup>79</sup> დეგნანის თქმით, ეს იქნებოდა ხანგრძლივი პროცესი და მასში წვლილი ყველას უნდა შეეტანა.<sup>80</sup>

## V. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ვიზიტი საქართველოში

8 დეკემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მონიტორინგის კომიტეტის წევრები ფაქტების შესწავლის მიზნით საქართველოს ესტუმრნენ.<sup>81</sup> ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, სასამართლო რეფორმას და სხვა საკითხებს.<sup>82</sup> ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს, აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარეს და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დეპუტატებს.<sup>83</sup> პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე მხარეებმა 2021 წლის არჩევნები განიხილეს. ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ უზრუნველყო თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალე, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება.<sup>84</sup> 10 დეკემბერს PACE-ის თანამომხსენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შეხვდნენ და მათთან მესამე პრეზიდენტის პატიმრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.<sup>85</sup> სტუმრებმა შეხვედრები გამართეს ასევე პარტიების - „ლელოს“, „მოქალაქეების“, „გირჩის“ წევრებთან და სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებთან.<sup>86</sup> სხვა თემებთან ერთად, მათ 19 აპრილის შეთანხმების შესრულებასა და საკონსტიტუციო ცვლილებებზეც იმსჯელეს.<sup>87</sup> ვიზიტის ფარგლებში PACE-ის წარმომადგენლები დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორის, საიასაც შეხვდნენ.<sup>88</sup> სამოქალაქო სექტორთან შეხვედრაზე მხარეებმა მართლმსაჯულებაზე, არჩევნებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს. PACE-ის თანამომხსენებლებმა ვიზიტი 10 დეკემბერს დაასრულეს.<sup>89</sup>

## VI. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ბრიუსელში

15 დეკემბერს ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი გაიმართა.<sup>90</sup> შეხვედრაზე ასოცირებულმა ტრიომ (საქართველო, უკრაინა და მოლდოვა) განაცხადა, რომ მზად იყვნენ ევროკავშირში განწევრიანების მიმართულებით მუშაობა გაეგრძელებინათ.<sup>91</sup> თავის მხრივ, ევროპული საბჭოს

<sup>79</sup> „დეგნანი ეროვნული თანხმობის“ პროცესზე: მისასალმებელია პრეზიდენტის ინიციატივა და მხარს ვუჭერთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31622919.html>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>80</sup> იქვე.

<sup>81</sup> ტიტუს კორლატეანი (რუმინეთი) და კლოდ კერნი (საფრანგეთი) იხ. “PACE co-rapporteurs to make monitoring visit to Georgia”, PACE-ის ვებგვერდი, 2021 წლის 6 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://pace.coe.int/en/news/8546>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> „PACE-ის თანამომხსენებლები საქართველოს სტუმრობენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/461308>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> „PACE-ის თანამომხსენებლებმა თბილისში ვიზიტი დაასრულეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 12 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/461719>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>86</sup> იქვე.

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> “Eastern Partnership summit, 15 December 2021”, Council of the European Union-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.consilium.europa.eu/en/>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>91</sup> „ასოცირებული ტრიო მზადაა, იმუშაოს ევროკავშირში განწევრიანების მიმართულებით“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/462544>, განახლებულია: 07.02.2022.

პრეზიდენტმა შარლ მიშელმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის მზაობა პარტნიორობასთან დაკავშირებით დამოკიდებული იყო სახელმწიფოების მიერ რეფორმების გატარებასა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.<sup>92</sup> სამიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრები გამართა შარლ მიშელთან და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჷეისთან.<sup>93</sup> მხარეებმა იმსჯელეს საქართველოში გასატარებელ რეფორმებზე. პრემიერის თქმით, ევროკავშირის წარმომადგენლები დარწმუნდნენ „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე რეფორმის დღის წესრიგის მიმართ საქართველოს ერთგულებაში“.<sup>94</sup>

---

<sup>92</sup> „ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტები აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/462511>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>93</sup> „ირაკლი ღარიბაშვილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის წინ ევროკავშირის ლიდერებს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 15 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/462455>, განახლებულია: 07.02.2022.

<sup>94</sup> იქვე.